სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

06/07/2026

MES 0 26 0000861273

ბრძანება

თბილისი

შავი ზღვისა და ზღვისპირა რეგიონის კვლევების საგრანტო კონკურსის - „შავი ზღვის ლურჯი განვითარება" - გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ

,,შავი ზღვისა და ზღვისპირა რეგიონის კვლევების საგრანტო კონკურსის – „შავი ზღვის ლურჯი განვითარება" დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 27 დეკემბრის N 149/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, "შავი ზღვისა და ზღვისპირა რეგიონის კვლევების საგრანტო კონკურსის - „შავი ზღვის ლურჯი განვითარება" გამოცხადების, კონკურსის პირობების, პროექტის ფორმების და პროექტზე თანდართული დოკუმენტაციის დამტკიცების შესახებ" - სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2026 წლის 1 აპრილის N387478 ბრძანებით დამტკიცებული პირობების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N845605, 03/07/2026) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს 2026 წლის შავი ზღვისა და ზღვისპირა რეგიონის კვლევების საგრანტო კონკურსის - „შავი ზღვის ლურჯი განვითარება" გამარჯვებული პროექტები:

ა) BS-26-785;

ბ) BS-26-077.

2. გამარჯვებული პროექტების ავტორებმა არაუგვიანეს 2026 წლის 10 ივლისის 18:00 საათისა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში (შემდგომში - ფონდი) უნდა წარმოადგინონ:

ა) ცნობა იმის შესახებ, რომ წამყვან და თაწამოწაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგაწიზაციას არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე;

ბ) წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიერ პროექტისთვის გახსნილი მიზნობრივი საბანკო/სახაზინო ანგარიში, რომელზეც არ დაირიცხება სარგებელი და მოხდება გრანტის სახსრების ჩარიცხვა;

3. დაევალოს ფონდის ხარისხის მართვისა და მონიტორინგის დეპარტამენტს გამარჯვებული პროექტების წარმდგენებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2026 წლის 31 ივლისისა;
4. დაევალოს ფონდის საერთაშორისო თანამშრომლობის და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე;
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი
გენერალური დირექტორი
დოჭვირი თეიმურაზ

თ. დოჭვირი

ელექტრონული
მფლობელობა
ელექტრონულად